ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №51

21 მარტი 2025 წელი

14:00 საათი

ა/წ 21 მარტს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. შალვა ოგბაიძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ნათია მოდებაძე;
5. მარიამ გელაშვილი;
6. ვახტანგ სურგულაძე.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ გოგიტიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის № 52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ გოგიტიძეს, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგით

გათვალისწინებული პირველი საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის № 50-99 დადგენილებაში, კერძოდ, აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში.

მოქმედი რედაქციის მიხედვით, ქვეპროგრამის ფარგლებში, თვეში ფინანსდება არაუმეტეს 2100 ბენეფიციარი, ხოლო წარმოდგენილი პროექტით, ლიმიტი იზრდება 300 ერთეულით, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს 2400 ბენეფიციარი,აღნიშნული ქვეპროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით.

საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ ჩიკვილაძემ აქვე აღნიშნა, რომ მუდმივად იზრდება მოთხოვნა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა მსურველმა შეძლოს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღება. წარმოდგენილი პროექტით გაიზრდება ლიმიტი და ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 2400 ბავშვი. ეს სიახლე მიზნად ისახავს აღნიშნული საჭიროების მქონე ოჯახების გვერდით დგომას, ჩვენთვის მათი ხელშეწყობა და ადაპტაცია მთავარი პრიორიტეტია.

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. აღნიშნულ საკითხს დამსწრე კომისიის წევრების სრულმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის წარმომდგენს თამარ გოგიტიძეს, რომელმაც წარმოადგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის № 52-16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. მისი განმარტებით წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, წესში მოცემულ ტერმინთა სრულყოფილად ჩამოყალიბება, ქვეპროგრამის განმახორციელებლის მიერ კონტროლის განხორციელების ფარგლებისა და საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის დაზუსტება.

დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის №52-16 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 27) განხორციელების წესში“.

წესის მე-3 მუხლს, „ტერმინთა განმარტება“ ემატება ახალი ტერმინის განმარტება, კერძოდ, „მ“ ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრება შემფასებლის ცნება. წესის მიზნებისთვის, შემფასებელი არის სამედიცინო დაწესებულება, რომელიც „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური

ასისტენტის საჭიროების შეფასების წესისა და ფორმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, ახორციელებს პერსონალური ასისტირების საჭიროებისა და ასისტირების ტიპის შეფასების პროცედურას.“

აღნიშნული ტერმინის განმარტების დამატებამ, განაპირობა მცირე სტილისტური ცვლილებები წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტსა და მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში. უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების ნაცვლად, მითითებული იქნება ტერმინი - შემფასებელი.

ცვლილება შედის წესის მე-9 მუხლის მე-4 პუქნტში, რომლის მიხედვითაც გაწეული მომსახურებისათვის თანხის მისაღებად მიმწოდებელი განმახორციელებელს წარუდგენდა საანგარიშგებო დოკუმენტაციას, ფაქტობრივად გაწეული საათობრივი მომსახურების შესახებ, საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენა განხორციელდება საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 8 რიცხვამდე.

ცვლილებები შედის წესის მე-10 მუხლში „კონტროლის განხორციელება“ და მე-3 პუქნტის შემდგომ ემატება მე-4 პუნქტი, რომლითაც ზუსტდება, რომ განმახორციელებელი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური) არ ახდენს შემფასებლის მიერ პერსონალური ასისტირების საჭიროებისა და ასისტირების ტიპის განსაზღვრის თაობაზე გაცემული შეფასების ფორმის/შეფასების დასკვნის მონიტორინგს, ვინაიდან, აღნიშნული მიეკუთვნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციას და პირის პერსონალური ასისტირების საჭიროებისა და ასისტირების ტიპის შეფასება, მოითხოვს სპეციალურ სამედიცინო ცოდნას.

კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. აღნიშნულ საკითხს დამსწრე კომისიის წევრების სრულმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტები განხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე